პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი
№ 150 (11456) | ოთხშაბათი, 1 ივლისი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ გმირი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, სკკპ XXI ყრილობის ისტორიადაფასებული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, კიდევ მეტი ენერგიითა და ენთუზიაზმით იბრძოლებენ შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ნოვატორთა მოწინავე გამოცდილება უმოკლეს ვადაში ფართო მასების კუთვნილება გახდეს. მაღალი შრომითი აქტივობა, დაუშრეტელი ინიციატივა და შეგნებულობა საბჭოთა ხალხისა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, შვიდწლიანი გეგმის — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის გეგმის წარმატებით შესრულების საიმედო საწინდარია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაობის შესახებ სკკპ XXI ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომლებითაც გათვალისწინებულია ტექნიკური პროგრესის დაჩქარება მრეწველობასა და მშენებლობაში

(სკკპ XXI ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებათა შესახებ, რომლებითაც გათვალისწინებულია კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა მრეწველობასა და მშენებლობაში, წარმოების ავტომატიზაცია, ნაკადური ხაზების შემოღება, მოძველებული მოწყობილობის, ტვიფრებისა და ინსტრუმენტების შეცვლა იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს სამრეწველო წარმოება და მშენებლობა, გაუმჯობესდეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და შემცირდეს მისი თვითღირებულება, აგრეთვე მშენებლობის ღირებულება)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება,

მიღებული 1959 წლის 29 ივნისს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XXI ყრილობამ მიიღო ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების, ეკონომიკის ყველა დარგში წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ისეთი ზრდის მიღწევის დიდებული პროგრამა, რომელიც შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ხალხის კეთილდღეობა, მიმდინარე შვიდწლედში გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. შვიდწლიანი გეგმის განხორციელება კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო სოციალისტური ბანაკის, როგორც მშვიდობისა და პროგრესის მძლავრი ბურჯის პოზიციებს, იქნება მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრების უდიდესი ტრიუმფი. ეს იქნება სოციალიზმის ახალი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება კაპიტალიზმთან მშვიდობიან შეჯიბრებაში, სსრ კავშირის იმ ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრაში, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

ყრილობის გადაწყვეტილებებმა საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვია. ფართოდ გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების შედეგად ჩვენი ქვეყნის მშრომელები წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ 1959 წლის — შვიდწლედის პირველი წლის დავალებებს.

მოისმინა და განიხილა რა მოსკოვის საქალაქო, ლენინგრადის, სტალინოს, სვერდლოვსკისა და დნეპროპეტროვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოების მოხსენებანი მათი მუშაობის შესახებ სკკპ XXI ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომლებითაც გათვალისწინებულია კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა მრეწველობასა და მშენებლობაში, წარმოების ავტომატიზაცია, ნაკადური ხაზების შემოღება, მოძველებული მოწყობილობის, ტვიფრებისა და ინსტრუმენტების შეცვლა იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს სამრეწველო წარმოება და მშენებლობა, გაუმჯობესდეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და შემცირდეს მისი თვითღირებულება, აგრეთვე მშენებლობის ღირებულება, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოები დიდ მუშაობას ეწევიან შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის და სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში წარმოების ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

უკანასკნელ ხანს ამ უდიდესი ეკონომიური რაიონების საწარმოებმა შექმნეს დიდძალი ახალი მოწყობილობა მძიმე და მსუბუქი მრეწველობისათვის, ავტომატური ხაზები და ავტომატიზებული აგრეგატები მანქანათსამშენებლო ქარხნებისათვის, თანამედროვე ხელსაწყოები და ავტომატიზაციის საშუალებანი, წარმოებაში დანერგეს მაღალნაყოფიერი ტექნოლოგიური პროცესები. გაანხორციელეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი მშენებლობის ტექნიკასა და ორგანიზაციაში, განსაკუთრებით საცხოვრებელი შენობების აგებაში, რამაც შესაძლებელი გახადა ფართოდ დანერგილიყო სამშენებლო სამუშაოთა ინდუსტრიული მეთოდები, შემცირებულიყო მშენებლობის ვადები და მისი ღირებულება.

დიდი წარმატებანი ჩვენი ეკონომიკის განვითარებაში იმას მოწმობენ, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნა იყო ჭეშმარიტად რევოლუციური ღონისძიება მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ფორმების სრულყოფაში. საუწყებო ბარიერების ლიკვიდაციამ, ხელმძღვანელობის მიახლოებამ საწარმოებთან და მშენებლობებთან, ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიურმა მონაწილეობამ მეურნეობის მართვაში, მშრომელთა გაზრდილმა ინიციატივამ შესაძლებელი გახადა უკეთ გამოგვეყენებინა რეზერვები, გაგვეძლიერებინა სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები, შექმნა პირობები მრეწველობასა და მშენებლობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების უფრო სწრაფი დანერგვისათვის, სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომი განვითარებისათვის. მოკლე ვადაში სახალხო მეურნეობის საბჭოებმა გადაჭრეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ტექნიკური ამოცანები, რომლებიც წინათ დიდხანს არ წყდებოდა სამინისტროთა მხრივ მათდამი უწყებრივი მიდგომის გამო. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ მნიშვნელოვნად გააძლიერა პარტიული ორგანიზაციების როლი სამეურნეო მშენებლობაში, მათი პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების უკეთ გამოყენებისათვის, ტექნიკური პროგრესის ამოცანების განხორციელებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა ფართო მასების მზარდ აქტივობას, თავიანთ ღონისძიებებს ახმარენ სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, შვიდწლიანი გეგმის შესრულებას.

მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა მთლიანად ჩვენს ქვეყანაში შესრულებულია 105 პროცენტით, ყველა მოკავშირე რესპუბლიკა და ყველა სახალხო მეურნეობის საბჭო წარმატებით ასრულებს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების დავალებებს. 1958 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა 1959 წლის იანვარ-მაისში 11 პროცენტით გადიდდა. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა მთლიანად სახალხო მეურნეობაში განვლილ ხუთ თვეში 1958 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9 პროცენტით გადიდდა, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა —14 პროცენტით. ტვირთბრუნვა რკინიგზის ტრანსპორტით გადიდდა 11 პროცენტით, საზღვაო ტრანსპორტით — 8 პროცენტით და სამდინარო ტრანსპორტით — 23 პროცენტით. ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით შრომის ნაყოფიერება 1959 წლის განვლილ ხუთ თვეში გადიდდა მრეწველობაში 8 პროცენტით და მშენებლობაში — 9 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებით დაამთავრეს საგაზაფხულო კულტურების თესვა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1959 წლის გაზაფხულზე დათესეს 126 მილიონ ჰექტარზე მეტი საგაზაფხულო კულტურები, აქედან მარცვლეული კულტურები — 73,3 მილიონი ჰექტარი, სიმინდი — 20,6 მილიონი ჰექტარი. 1959 წლის ხუთ თვეში მთლიანად სსრ კავშირში დამზადებულია: ხორცი — 603 ათასი ტონით, ანუ 57 პროცენტით მეტი, რძე — 1 მილიონ 682 ათასი ტონით, ანუ 26 პროცენტით მეტი, კვერცხი — 892 მილიონი ცალით, ანუ 34 პროცენტით მეტი, მატყლი — 7,9 ათასი ტონით, ანუ 13 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში.

მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მუშაობის ეს მაჩვენებლები იმას მოწმობენ, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხმა შვიდწლიანი გეგმა მიიღო როგორც თავისი სასიცოცხლო, მშობლიური საქმე და მტკიცედ იბრძვის მისი წარმატებით შესრულებისათვის.

I. სახალხო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლა შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების გადამწყვეტი პირობაა

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობაში — მეცნიერებისა და ტექნიკის განუხრელ განვითარებას, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას, წარმოების ყველაზე სრულყოფილ ორგანიზაციას და მათს ბაზაზე საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდებას. დიდი ლენინი ამბობდა, რომ „შრომის ნაყოფიერების გადიდება შეადგენს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, რადგან უამისოდ კომუნიზმზე საბოლოო გადასვლა შეუძლებელია“ (თხზ., ტომი 29, გვ. 119).

კომუნისტური პარტია სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე უდიდეს ყურადღებას უთმობდა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განუწყვეტელ ზრდას, მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის საფუძვლის, შექმნას, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის ტექნიკურ სრულყოფას, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას. წინათ ჩამორჩენილი რუსეთი პარტიის ლენინური გენერალური ხაზის თანმიმდევრული განხორციელებისა და საბჭოთა ხალხის გმირულ ღონისძიებათა მეოხებით, გადაიქცა ქვეყნად, რომელსაც აქვს პირველხარისხოვანი ინდუსტრია, დიდად მექანიზებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და ტექნიკა.

1958 წელს 1913 წელთან შედარებით მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ძირითადი საწარმოო ფონდები გადიდდა დაახლოებით 22-ჯერ, ხოლო მუშათა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში — 10-ჯერ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, **რომ პარტიის XX ყრილობის შემდეგ გასულ დროში ჩვენს ქვეყანაში გადადგმულია ახალი დიდი ნაბიჯი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებასა და ტექნიკურ სრულყოფაში.** ამ პერიოდში შეიქმნა და სერიულ წარმოებაში ათვისებულია მანქანების, მექანიზმების, აპარატებისა და ხელსაწყოების 5 ათასზე მეტი ახალი, უფრო სრულყოფილი ტიპი, შემუშავებულია და დიდი მასშტაბებით დაინერგა პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები მრეწველობასა და მშენებლობაში, მნიშვნელოვნად ამაღლდა მექანიზაციის, განსაკუთრებით მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე, განხორციელდა ბევრი საწარმოო ოპერაციის ავტომატიზაცია. სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლო ინდუსტრიაში და ტრანსპორტზე.

სამთამადნო მრეწველობაში მექანიზებულია ბურღვის, მადნების გამდიდრებისა და აგლომერაციის პროცესები, დამთავრების სტადიაშია მადნისა და ქანის გამოზიდვის მექანიზაცია. დიდი სამუშაოები შესრულდა საბრძმედე და მარტენის საამქროებში საწარმოო პროცესების მექანიზაციისათვის. შარშან 90 პროცენტზე მეტი თუჯი და ფოლადი გამოდნობილ იქნა მექანიზებულ და მნიშვნელოვანწილად ავტომატიზებულ ბრძმედებსა და მარტენის ღუმელებში.

ქიმიურ მრეწველობაში დანერგილია მთელი რიგი ახალი მაღალნაყოფიერი ტექნოლოგიური პროცესები და მოწყობილობა ბევრი ძვირფასი სინთეზური მასალის გამოშვება. გაჩაღებულია მუშაობა იმისათვის, რომ განხორციელდეს ძირითადი საამქროების კომპლექსური ავტომატიზაცია სინთეზური კაუჩუკისა და სპირტის ქარხნებში, აზოტის, სოდის, გოგირდმჟავას, ქლორისა და სალტის საწარმოებში.

ნავთობის მრეწველობაში წამყვანი მდგომარეობა დაიკავა საბურღავ საქუშაოთა ყველაზე ნაყოფიერმა ტურბინულმა წესმა. ფენის წნევის ხელოვნური დაცვის პროგრესული მეთოდი ნავთობის საბადოების დამუშავების ძირითადი მეთოდი გახდა. ნავთობგადასამუშავებელ ქარხნებში ფართოდ ინერგება ნავთობის გადამუშავების უფრო სრულყოფილი კატალიზური პროცესები მაღალი წარმადობის გამსხვილებულ დანადგართა გამოყენებით. ქვანახშირის მრეწველობაში მექანიზებულია ქვანახშირის გაყვლა, მონგრევა და გამოზიდვა სანგრეევებში, აგრეთვე ამწე ტრანსპორტი. სსრ კავშირმა ბევრად გაუსწრო ყველა ქვეყანას კომბაინებით ქვანახშირის ამოღების გამოყენების მხრივ. ფართოდ გავრცელდა ქვანახშირის ამოღების ღია წესი ძლავრი მოწყობილობის გამოყენებით, ინერგება ქვანახშირის ჰიდრავლიკური ამოღება და ჰიდროტრანსპორტი.

ელექტროსადგურებში დანერგილია თანამედროვე ენერგეტიკული მოწყობილობა და ელექტრული და სითბური ენერგიის წარმოების პროცესების ავტომატური მართვა.

მანქანათსამშენებლო მრეწველობამ აითვისა დიდი სიმძლავრის საკონდენსაციო ტურბინებისა და ზეძაღალი წნევის ორთქლის ქვაბების, თანამედროვე ტიპების ლითონსაჭრელი ჩარხების, სამჭედლო-საწნეხი მანქანების, ელმავლებისა და თბომავლების, ავტომობილების, უქსაკატორების, კომბაინებისა და მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური თვისებების მქონე სხვა მანქანებისა და მოწყობილობის წარმოება. მნიშვნელოვნად განახლდა და გაფართოვდა სსრ-სამეურნეო მანქანების ნომენკლატურა. ახლად გამოშვებული ჩარხებისა და მანქანების ტექნიკური დონის ამაღლებასთან ერთად მოდერნიზებულია 100 ათასზე მეტი ერთეული მოქმედი ლითონდასამუშავებელი მოწყობილობა.

ტექნიკური გაუმჯობესებანი, რომლებიც ხელს უწყობენ პროდუქციის წარმოების გადიდებას, მისი ღირებულების შემცირებასა და შრომის ნაყოფიერების გადიდებას, შემოღებულია სატყეო, მსუბუქ, კვების მრეწველობაში და მრეწველობის სხვა დარგებში.

მნიშვნელოვნად ამაღლდა მშენებლობის, განსაკუთრებით საბინაო მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია და გაუმჯობესდა მისი ტექნოლოგია ასაწყობი რკინაბეტონის ფართოდ გამოყენების საფუძველზე, რომლის წარმოებაც 1958 წელს გაიზარდა 19 მილიონ კუბურ მეტრამდე ნაცვლად 1954 წლის 3 მილიონი კუბური მეტრისა. მიმდინარეობს უწყვეტი ვიბროგლინვის ათვისება და ინერგება ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოების კასეტური წესი, რომლებიც მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის, მისი ღირებულების შემცირების ახალ შესაძლებლობას ქმნიან.

ხორციელდება ძირითად სახეობათა ტრანსპორტის ტექნიკური რეკონსტრუქცია. რკინიგზების ელექტროფიკაციის გენერალური გეგმა და თბომავლის წევის დანერგვის დავალება წარმატებით სრულდება. წყლის, საავტომობილო, საჰაერო ტრანსპორტს ახალი ტექნიკური საშუალებები ემატება.

საბჭოთა კავშირის მიღწევებმა ატომური ენერგიის, რეაქტიული ავიაციის მშვიდობიან გამოყენებაში, კაცობრიობის ისტორიაში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრებისა და პირველი კოსმოსური რაკეტის გაშვებამ ნათლად დაანახვა მთელ მსოფლიოს, თუ რა სიმაღლეებს მიაღწია მეცნიერებასა და ტექნიკაში ჩვენმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ყოველივე ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვით ჩვენს სახელოვან მეცნიერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, კონსტრუქტორებს, მუშათა წარმოების ნოვატორთა მრავალათასიან არმიას.

ახალი წარმატებანი მრეწველობისა და მშენებლობის ტექნიკურ სრულყოფაში მიღწეულია ტექნიკური პროგრესის, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის დარგში სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა თანმიმდევრულად შესრულების, ახალი ტექნიკის დანერგვისადმი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღების გაძლიერების შედეგად. ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხელსაწყოთა და საშუალებათა გამოშვების გადიდების, მოწყობილობის მოდერნიზაციის, მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაციისა და განსაკუთრებით ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციათა და ნაკეთობათა წარმოების განვითარების, ტექნიკური ინფორმაციის გაუმჯობესებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენების ღონისძიებებს, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო.

შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების მიზნით სკკპ XXI ყრილობამ დასახა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმოების შემდგომი ტექნიკური სრულყოფის გზები. ყრილობის გადაწყვეტილებებში გათვალისწინებულია მძიმე შრომის ლიკვიდაცია მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაში საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის საფუძველზე, მოძველებული მოწყობილობის შეცვლა და მოდერნიზაცია, ახალი მაღალნაყოფიერი პროცესების დანერგვა, ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის სწრაფი განვითარება, წარმოების ავტომატიზაცია და შემდგომი სპეციალიზაცია, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა და აღმოჩენათა ყოველი ღონისძიებით გამოყენება, განსაკუთრებით რადიოელექტრონიკის, რადიაქტიური იზოტოპების, ნახევარგამტარებისა და ატომგულის ენერგიის დარგში. მშენებლობაში — სამშენებლო სამუშაოთა შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, სამშენებლო წარმოების გადაქცევა საწარმოებში დამზადებული დიდი ზომის ელემენტებისა და კვანძებისაგან შენობათა და ნაგებობათა აწყობისა და მონტაჟის მექანიზებულ ნაკადურ პროცესად. რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტზე — დამთავრდეს ძირითადად ნაკლებეკონომიური ორთქლის ძრავებიდან გადასვლა ელექტრულ, დიზელის და გაზტურბინულ ძრავებზე, ხოლო საჰაერო ტრანსპორტზე — ტურბოხრახნულ და ტურბორეაქტიულ ძრავებზე. ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა ექნეს ქიმიური მრეწველობის სწრაფ განვითარებას.

ჩვენს ქვეყანაში ყველა საჭირო პირობაა იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს წარმოების ტექნიკური დონის შემდგომი აღმავლობის დასახული პროგრამა. ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ახლა მთავარია ავამაღლოთ ორგანიზატორული მუშაობა, მოწინავე ტექნიკის დანერგვის საქმისადმი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობა ახალი ამოცანების დონემდე, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მთელი ყურადღება უნდა მიექცეს იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რომლებიც გვაქვს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური სრულყოფისათვის მუშაობაში და რომლებიც აფერხებენ ტექნიკური პროგრესის ტემპებს. ვეღარ შევურიგდებით იმას, რომ ბევრი სახალხო მეურნეობის საბჭო, საწარმო და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაცია ვერ ასრულებს მოწინავე ტექნიკის შემუშავებისა და დანერგვის, ახალ სახეობათა პროდუქციის წარმოების ათვისებისა და მოძველებული მოწყობილობის მოდერნიზაციის დაწესებულ დავალებებს და ამით სერიოზულ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობის ინტერესებს.

ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელი სამუშაოების ორგანიზაცია, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენება მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე. აღარ შეიძლება შევურიგდეთ იმ არასწორ პრაქტიკას, რომლის დროსაც ახალი მანქანების შექმნაზე, უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესების, მენობათა და ნაგებობათა რაციონალური ტიპების, ეფექტიანი მასალების შემუშავებასა და წარმოებაზე და მშენებლობაში მათს დანერგვაზე იხარჯება გაუმართლებლად ბევრი დრო და ამუშავების მომენტისათვის ზოგიერთი მათგანი მოძველებული ხდება.

საწარმოთა ზოგიერთი ხელმძღვანელნი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკები ახალი ტექნიკის შემუშავებისა და დანერგვის დროს ცდილობენ მიიღონ მხოლოდ პროდუქციის გამოშვების გადიდება და ყურადღებას არ აქცევენ არანაკლებ დიდმნიშვნელოვან მიზანს — მუშათა შრომის ნაყოფიერების ზრდასა და შემსუბუქებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და მისი თვითღირებულების შემცირებას. მთელ რიგ საწარმოებში იქმნება ძვირადღირებული მანქანები, ავტომატური ხაზები და სხვა აგრეგატები და მექანიზმები, რომელთა გამოყენება საგრძნობ ეკონომიურ ეფექტს არ იძლევა. მაგალითად, მანქანათსამშენებლო მრეწველობაში საკმაო ტემპებით არ ვითარდება უახლესი სამსხმელო მოწყობილობის წარმოება, ჯერ კიდევ მცირეა სამჭედლო-საწნეხე მოწყობილობის ხვედრითი წონა. ეს იმას იწვევს, რომ ხდება დიდძალი ლითონის გადამუშავება ნათალად, მატულობს მანქანების წონა, იზრდება მანქანათმშენებლობის პროდუქციის დამზადების შრომატევადობა და ღირებულება. ახალი ტექნიკის დანერგვისა და განსაკუთრებით წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებანი ბევრ შემთხვევაში ისე ხორციელდება, რომ წინასწარ ანალიზს არ უკეთებენ მათს ეფექტიანობას.

ქარხნების, ფაბრიკებისა და შახტების მშენებლობის პროექტებში ხშირად არ არის ასახული ყოველივე ახალი და პროგრესული, რაც მიღწეულია ჩვენს მრეწველობაში და საზღვარგარეთ, წარმოებაში უშვებენ მოძველებულ მოწყობილობას და იყენებენ წარმოების ნაკლებნაყოფიერ მეთოდებს, არ ითვალისწინებენ ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, დიდი ზედმეტობით ადგენენ გენერალურ გეგმებს. ამის შედეგად ასეთი ობიექტების მშენებლობაზე იხარჯება ზედმეტი სახსრები, გაუმართლებლად დიდძალი ლითონი, მოწყობილობა და საშენი მასალები, ხოლო შრომის ნაყოფიერება ახალ საწარმოებში არსებითად არ განსხვავდება მოქმედი საწარმოებისაგან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ეს ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად წარმოშობილია სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ერთი ნაწილის ტექნიკური კონსერვატიზმით, წარმოების ძველ მეთოდებთან და შრომის ძველ იარაღებთან მიჩვევის ძალით, იმით, რომ ბევრ სამეურნეო ხელმძღვანელს არა სურს გადალახოს ახალი ტექნიკის დანერგვასთან დაკავშირებული სიძნელენი, რომ მათ არა აქვთ სახელმწიფოებრივი მიდგომა წარმოების ტექნიკური სრულყოფის საკითხების გადაჭრისადმი.

ამასთან უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკაში ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ ახალი ტექნიკის შექმნით და წარმოებაში მისი უსწრაფესად დანერგვით საწარმოთა და მშენებლობათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, სამეცნიერო-საკვლევ, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა სპეციალისტების მატერიალური დაინტერესების პრინციპს. იშვიათი როდია ფაქტები, როცა იმ საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც ახალ ტექნიკას ეუფლებიან, შრომის ანაზღაურების მხრივ უარეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე იმ საწარმოთა მუშაკები, რომლებიც მოძველებულ პროდუქციას უშვებენ. სამეცნიერო-საკვლევ-საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების სპეციალისტებს, რომლებიც წარმატებით წყვეტენ ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფის დიდ საკითხებს,

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების გაგრძელება

პრაქტიკულად არა აქვთ მატერიალური უპირატესობა შრომის ინაზღაურებაში იმათთან შედარებით, ვინც წლობით არ იძლევა არაფერ ახალს.

ახალი ტექნიკის გეგმების შედგენის დარგში ძირითადი მუშაობის საწარმოებში, სახალხო მეურნეობის საბჭოებსა და მოკავშირე რესპუბლიკებში გადატანამ შესაძლებელი გახადა სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესების უფრო სრულად გათვალისწინება, ამ საქმეში სპეციალისტთა და წარმოების ნოვატორთა ფართო წრის ჩაბმა და ამან საშუალებათ გაამართლა თავისი დანიშნულება. მაგრამ ახალი ტექნიკის დანერგვის დარგში მუშაობის დაგეგმვის დაყენება რესპუბლიკებში ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. რესპუბლიკური ორგანოების მიერ შემუშავებული გეგმები ზედმეტად დეტალიზებულია, რაც ბოჭავს სახალხო მეურნეობის საბჭოების, საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების ინიციატივას, ამავე დროს არ მიაპყრობს მათს ყურადღებას უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრას. ამ გეგმებში დასახული ღონისძიებანი ორგანულად არ არის დაკავშირებული პროდუქციის წარმოების გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, მუშათა შრომის პირობების შემსუბუქებასა და გაჯანსაღებას. უსაშიშრობის ტექნიკის წესების დაცვას, მშენებლობის დაჩქარებასა და გაიაფებას, კაპიტალურ დაბანდებათა ინაზღაურების ვადების შემცირებას სამამულო და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის საუკეთესო მიღწევებთან შედარებით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა კვლავაც უზრუნველყოფილ იქნას შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფი ზრდა ხელფასის ზრდასთან შედარებით, რაც წარმოადგენს წარმოების შემდგომი გაფართოებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო სოციალისტური დაგროვების საფუძველს.

4. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობისა და მშენებლობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებს შემუშაონ და სამი თვის ვადაში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით დაამტკიცონ ტიპური დებულებანი საცდელი ნიმუშების ახალი მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოების, ნაწარმის, საშენი მასალების, კონსტრუქციების შემუშავების, დამზადებისა და გამოცდის და სერიულ წარმოებაში მათი გადაცემის წესის შესახებ.

5. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაონ და ამა წლის 1 სექტემბრისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებანი ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების სპეციალიზაციის იმ ღონისძიებათა დაფინანსების პირობების გაუმჯობესების შესახებ, რომლებსაც ახორციელებენ საწარმოები და სამშენებლო ორგანიზაციები, ბანკის კრედიტისა და საწარმოთა ფონდების გამოყენების, ამ მიზნებისათვის მატერიალური რესურსების გამოყოფის გზით, აგრეთვე ახალ სახეობათა პროდუქციის ფასების დადგენის წესის შესახებ იმის მიხედვით, რომ ფასები იძლეოდნენ ამ პროდუქციის როგორც დამზადების, ისე გამოყენების სტიმულს.

6. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობისა და მშენებლობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებთან ერთად შეიმუშაონ და 1959 წლის 1 ნოემბრისათვის წარმოუდგინონ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციებისათვის ეკონომიური სტიმულების შექმნის შესახებ მრეწველობასა და მშენებლობაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის, წარმოების ავტომატიზაციის საქმეში, აგრეთვე წარმოების ტექნიკური სრულყოფით საძრეწველო-საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ.

7. იმის გამო, რომ მშრომელი მასების შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წარმატებით განვითარებისა და სრულყოფის საწინდარია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი წინადადებას აძლევს პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის საკითხებს. თანამედროვე პირობებში სოციალისტური შეჯიბრების მთავარი შინაარსი უნდა გახდეს პროდუქციის გამოშვების გადიდების, ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის. მოძველებული მოწყობილობის მოდერნიზაციის, ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ შვიდწლიანი გეგმის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება. საწარმოთა და მშენებლობათა სამეურნეო საქმიანობის შეფასებისა და სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას როგორც უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი, ახალი ტექნიკის შემუშავებისა და დანერგვის საგეგმო დავალებათა შესრულება.

8. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა ფართო მასებმა მაღალი აქტივობა გამოიჩინეს ამ პლენუმისათვის მზადების პერიოდში წარმოების შემდგომი ტექნიკური სრულყოფის საკითხების განხილვაში, და ავალებს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს იმ გეგმების პროექტების საფუძველზე, რომლებსაც მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო მეურნეობის საბჭოები, სამინისტროები და უწყებები წარმოადგენენ.

3. დაევალოს სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოთა დირექტორებს, სამშენებლო ორგანიზაციების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების ხელმძღვანელებს ახალი ტექნოლოგიური პროცესების, მანქანების, მექანიზმების, სამშენებლო კონსტრუქციების შემუშავებისა და დანერგვის დროს უწინარეს ყოვლისა გაითვალისწინონ ის, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ საზოგადოებრივი შრომის, მატერიალური და ფულადი სახსრების ყველაზე რაციონალური და ეკონომიური გამოყენების მოთხოვნებს, უზრუნველყოფდნენ პროდუქციის გამოშვების გადიდებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, მუშათა შრომის პირობების შემსუბუქებასა და გაჯანსაღებას. უსაშიშრობის ტექნიკის წესების დაცვას, მშენებლობის დაჩქარებასა და გაიაფებას, კაპიტალურ დაბანდებათა ინაზღაურების ვადების შემცირებას სამამულო და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის საუკეთესო მიღწევებთან შედარებით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა კვლავაც უზრუნველყოფილ იქნას შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფი ზრდა ხელფასის ზრდასთან შედარებით, რაც წარმოადგენს წარმოების შემდგომი გაფართოებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო სოციალისტური დაგროვების საფუძველს.

4. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობისა და მშენებლობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებს შეიმუშაონ და სამი თვის ვადაში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით დაამტკიცონ ტიპური დებულებანი საცდელი ნიმუშების ახალი მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოების, ნაწარმის, საშენი მასალების, კონსტრუქციების შემუშავების, დამზადებისა და გამოცდის და სერიულ წარმოებაში მათი გადაცემის წესის შესახებ.

5. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაონ და ამა წლის 1 სექტემბრისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებანი ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების სპეციალიზაციის იმ ღონისძიებათა დაფინანსების პირობების გაუმჯობესების შესახებ, რომლებსაც ახორციელებენ საწარმოები და სამშენებლო ორგანიზაციები, ბანკის კრედიტისა და საწარმოთა ფონდების გამოყენების, ამ მიზნებისათვის მატერიალური რესურსების გამოყოფის გზით, აგრეთვე ახალ სახეობათა პროდუქციის ფასების დადგენის წესის შესახებ იმის მიხედვით, რომ ფასები იძლეოდნენ ამ პროდუქციის როგორც დამზადების, ისე გამოყენების სტიმულს.

6. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობისა და მშენებლობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებთან ერთად შეიმუშაონ და 1959 წლის 1 ნოემბრისათვის წარმოუდგინონ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციებისათვის ეკონომიური სტიმულების შექმნის შესახებ მრეწველობასა და მშენებლობაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის, წარმოების ავტომატიზაციის საქმეში, აგრეთვე წარმოების ტექნიკური სრულყოფით საძრეწველო-საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ.

7. იმის გამო, რომ მშრომელი მასების შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წარმატებით განვითარებისა და სრულყოფის საწინდარია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი წინადადებას აძლევს პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის საკითხებს. თანამედროვე პირობებში სოციალისტური შეჯიბრების მთავარი შინაარსი უნდა გახდეს პროდუქციის გამოშვების გადიდების, ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის. მოძველებული მოწყობილობის მოდერნიზაციის, ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ შვიდწლიანი გეგმის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება. საწარმოთა და მშენებლობათა სამეურნეო საქმიანობის შეფასებისა და სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას როგორც უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი, ახალი ტექნიკის შემუშავებისა და დანერგვის საგეგმო დავალებათა შესრულება.

8. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა ფართო მასებმა მაღალი აქტივობა გამოიჩინეს ამ პლენუმისათვის მზადების პერიოდში წარმოების შემდგომი ტექნიკური სრულყოფის საკითხების განხილვაში, და ავალებს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს, ...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების გაგრძელება

ტანციური მართვა, წყლის ტრანსპორტზე გემის ტარების ავტომატიზაცია.

ყურადღებას აქცევს რა იმას, რომ საჭიროა ფართოდ დაინერგოს ეს და სხვა პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ საბჭოთა მეცნიერები, საპროექტო ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაკები, საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივები მომდინარე შვიდწლედში უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმოების ახალი, უფრო სრულყოფილი მეთოდების შექმნასა და გამოყენებას.

3. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს სახალხო-სამეურნეო გეგმების შედგენის დროს გაითვალისწინონ ახალ სახეობათა მოწყობილობის წარმოება, რაც საჭიროა სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქციის განხორციელებისათვის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ტექნიკური ხელახლა აღჭურვისათვის, და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ:

მანქანათსამშენებლო და ქიმიური მრეწველობის, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური ხელახლა შეიარაღების ბაზის პირველ რიგში აღჭურვას მოწყობილობით;

მოწყობილობის წარმოების მაქსიმალურ გადიდებას მანქანათსამშენებლო ქარხნების რეკონსტრუქციის, არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების, წარმოების შემდგომი სპეციალიზაციისა და კოოპერირების გზით.

4. იმის გათვალისწინებით, რომ მოწყობილობის მოდერნიზაცია უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების სწრაფ გადიდებას მატერიალური სახსრების ნაკლები ხარჯვით, საჭიროდ ჩაითვალოს საწარმოებში ამ სამუშაოს შესრულების დაჩქარება.

დაევალოს სპეციალიზებულ ინსტიტუტებს, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და მანქანათსამშენებლო საწარმოებს მოაწყონ მოძველებული მოწყობილობის მოდერნიზაციის ტიპური პროექტების შემუშავება.

წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მოაწყონ ტიპური პროექტების მიხედვით ცენტრალიზებული წარმოება კვანძებისა და დეტალებისა, რომლებიც საჭიროა მოძველებული მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის, აგრეთვე სამარჯვებისა და მოწყობილობისა — მისი მუშაობის ავტომატიზაციისათვის.

5. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებანი მანქანათმშენებლობის საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტული ბაზის გაძლიერების შესახებ. წინადადებებში გაითვალისწინონ წვრილი და ერომანეთის შადუბლირებული სპეციალური, საკონსტრუქტორო, საპროექტო და ტექნოლოგიური ბიუროების გაერთიანება და მძლავრი საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების შექმნა პირველ რიგში საწარმოებში, რათა მათ შემდეგში დაიკავონ წამყვანი როლი ახალი მოწყობილობის შემუშავებაში და გამოსაშვები მოწყობილობის ტექნიკურ სრულყოფაში და იკისრონ პასუხისმგებლობა წარმოების შესაბამისი დარგის ტექნიკური დონისათვის.

III. წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების საფუძველია

კომუნისტურ პარტიას საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია მიაჩნია ტექნიკური პროგრესის ძირითად საშუალად, ურომლისოდაც შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის მაღალი ტემპები. წარმოების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას აქვს არა მარტო ეკონომიური მნიშვნელობა, არამედ უდიდესი სოციალური მნიშვნელობაც. სოციალისტურ საზოგადოებაში საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია შეეფერება მშრომელთა საარსებო ინტერესებს, ამსუბუქებს და ძირეულად ცვლის მილიონობით ადამიანის შრომის ხასიათს, ზრდის მის ნაყოფიერებას, ქმნის საშუშაო დღის ხანგრძლივობის შემოკლებისა და გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებული განსხვავების ლიკვიდაციის პირობებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ. მიუხედავად მნიშვნელოვანი მუშაობისა, რაც წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგში მიმდინარეობს, ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

წარმოების მეტწილ დარგებში პრაქტიკულად არ არის გადაჭრილი ბევრი სახეობის იმ სამუშაოთა, განსაკუთრებით, დამხმარე სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის საკითხი, რომლებშიც დასაქმებულია მუშათა მთელი რაოდენობის დაახლოებით ნახევარი. მექანიზაციის დაბალი დონე კვლავ არის მანქანათსამშენებლო ქარხნების მოსამზადებელ და დამხმარე საამქროებში და მეტალურგიული ქარხნების საგლინავ საამქროებში. შახტებში, ქვანახშირის გამოზიდვისა და დატვირთვის ოპერაციებში. მექანიზაცია საკმაოდ არ ხორციელდება მშენებლობაში, სადაც ჯერ კიდევ მუშათა დაახლოებით 60 პროცენტი შრომობს ხელით, სამენი მასალების საწარმოებში, სატყეო, მსუბუქ, კვების, პოლიგრაფიულ მრეწველობაში, ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში და სახალხო მეურნეობის მთელ რიგ სხვა დარგებში. სუსტად არის მექანიზებული დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე, სადაც თავმოყრილია მუშათა მთელი რაოდენობის 25 პროცენტზე მეტი. ნელა წარმოებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციის სამუშაოები.

ავტომატიზაციის დარგში წყდება ჯერ კიდევ კერძო ამოცანა — ცალკეული აგრეგატების, ოპერაციებისა და საამქროების ავტომატიზაცია. მუშაობა ძირითადად წარმართულია წარმოებისადმი კონტროლის ფუნქციების ავტომატიზაციისაკენ; საწარმოო პროცესების ავტომატურმა რეგულირებამ და მართვამ ფართო გამოყენება ვერ ჰპოვეს.

სამეცნიერო-საკვლევი, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ ავტომატიზაციის კომპლექსური სქემებისა და საამისოდ საჭირო საშუალებების შექმნაზე. ცალკეული ინსტიტუტებისა და საწარმოების განცალკევებული მოქმედება ვერ ძლევა საჭირო შედეგს, წარმოების ავტომატიზაციაში სამუშაოთა კოორდინაციისა და დაგეგმვის დარგში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი შესაძლებლობას არ იძლევიან სათანადო გაქანება მიეცეს ამ საქმეს.

საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სამუშაოებს მნიშვნელოვანწილად აფერხებს აგრეთვე ელექტროტექნიკური მოწყობილობის ხელსაწყოების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ახალ საშუალებათა, ქარხნის შიგატრანსპორტის საშუალებათა წარმოების ჯერ კიდევ არა საკმაო მოცულობა და სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების სუსტი განვითარება, რომლებიც მოწოდებული არიან ამუშავებდნენ ამ საკითხებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოების, ტრანსპორტისა და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მთელი ყურადღება მიაქციონ სკკპ XXI ყრილობის მიერ დასახული იმ ამოცანის გადაჭრას, რომ მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში ლიკვიდირებულ იქნას ხელის მძიმე შრომა საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის ბაზაზე.

პირველი რიგის და გადაუდებელ საქმედ ჩაითვალოს ღონისძიებათა განხორციელება შემდეგი ყველაზე შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაციისათვის, როგორიც არის:

შავ და ფერად მეტალურგიაში — ნაგლინის, მილებისა და ლითონის ნაკეთობათა წარმოება, მადნისა და ქანის აწმენდა გვირაბების გაყვანისას, პროდუქციის შეფუთვა;

ქიმიურ მრეწველობაში — დოზირება, შიგასაქარხნო ტრანსპორტი, პროდუქციის დაფასოება და შეფუთვა;

ქვანახშირის მრეწველობაში — ქვანახშირის ტვირთვა და კონვეიერთა გადაადგილება დამრეცი და დახრილი დაქანების ფენებზე, ქვანახშირისა და ქანის დატვირთვა მოსამზადებელ გვირაბთა გაყვანის დროს, მიწისქვეშა ტრანსპორტი, სამუშაოები შახტების ზედაპირზე, გამდიდრების პროცესები;

ნავთობისა და გაზის მრეწველობაში — ჩაშვება-აწევის ოპერაციები. საკოშკურო-სამონტაჟო სამუშაოები, სარეცხი ხსნარების მომზადება და გაწმენდა ბურღვაში, ჭაბურღილების მიწისქვეშა და კაპიტალური რემონტი;

მანქანათმშენებლობაში — სხმულისა და ნაჭედის წარმოება, მასალათა, ნამზადთა და ნაკეთობათა ტრანსპორტირება, საამწყობო და საკონტროლო ოპერაციები მსხვილსერიულ წარმოებაში, საზეინკლო და საღებავი სამუშაოები;

მსუბუქ, კვებისა და თევზის მრეწველობაში — დამხმარე და დამატებითი სამუშაოები, ნედლეულის, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების ტრანსპორტირება, პროდუქციის დაფასოება და შეფუთვა, თევზის ჭერა და დამუშავება გემებზე და თევზის გადასამუშავებელ საწარმოებში, ტარის წარმოება;

საშენ მასალათა მრეწველობაში—სამუშაოები არამადნეული მასალების, აზბესტისა და ცემენტის ნედლეულის ამოღებისა და გადამუშავებისათვის, რკინაბეტონისა და აზბესტცემენტის კონსტრუქციების და სანიტარიულ-ტექნიკურ ნაკეთობათა წარმოებისათვის.

მშენებლობაში —მიწის, ბეტონისა და რკინაბეტონის, სამონტაჟო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები, სატრანსპორტო ოპერაციები;

სატყეო და ქაღალდის მრეწველობაში — ხე-ტყის დამზადების ოპერაციები, სამუშაოები ქვედა საწყობებში, ხე-ტყის გადასატვირთავ ბაზებსა და ხე-ტყის ბირჟებში;

პოლიგრაფიულ მრეწველობაში — ბეჭდური ფორმების მომზადება, ფორმების მოსწორება, სამკაზმაო-საამკინძაო სამუშაოები, ნახევარფაბრიკატების ტრანსპორტირება, პროდუქციის შეფუთვა;

კინემატოგრაფიასა და კინომრეწველობაში — კინოფილმების გადაღება, ფილმების პირების ბეჭდვა, კინოფირებისა და ფოტოფირების კეთების პროცესი, კინომოწყობილობისა და აპარატურის აწყობა და მონტაჟი;

რკინიგზის ტრანსპორტზე — ლიანდაგის რემონტი და რეკონსტრუქცია, წყლის ტრანსპორტზე — ნავსადგურების რეკონსტრუქცია და გემების მოდერნიზაცია;

სოფლის მეურნეობაში — ტექნიკური კულტურების, კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანა და მოსავლის აღება, მარცვლეულის დამუშავება და ხმობა, ნამჯის მოგროვება და ტრანსპორტირება, საკვების დამზადება, მისაცემად შემზადება და დარიგება, მეცხოველეობის ფერმების წყალმომარაგება;

დატვირთვა-გადმოტვირთვის და სასაწყობო სამუშაოები — მრეწველობის ყველა დარგში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაში.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს განსაზღვრონ აღნიშნული შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაციის სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო მანქანებისა და მექანიზმების, საანგარიშო და გამოსათვლელი მანქანების ნომენკლატურა და მოთხოვნილება, ამასთან სახალხო-სამეურნეო გეგმებში გაითვალისწინონ ამ მოწყობილობის წარმოება საჭირო ოდენობით, აგრეთვე შიგასაქარხნო ტრანსპორტის საშუალებათა წარმოების ორგანიზაცია და უახლესი სამსხმელო მოწყობილობის წარმოების გაფართოება.

2. ავტომატიზაციის დარგში ძირითადი ყურადღება მიექცეს იმ ამოცანის პრაქტიკულ გადაჭრას, რომ განხორციელდეს ცალკეული საწარმოო ოპერაციების ავტომატიზაციიდან მთლიანად ავტომატიზებული ტექნოლოგიური პროცესების, საამქროებისა და საწარმოების შექმნაზე გადასვლა, უწინარეს ყოვლისა იმ დარგებში, სადაც ავტომატიზაცია უზრუნველყოფს მაქსიმალურ ეკონომიურ ეფექტს.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობისა და მშენებლობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებთან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და სახალხო მეურნეობის საბჭოებთან ერთად შეიმუშაონ 1959 წლის 1 დეკემბრისათვის და წარმოუდგინონ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში კომპლექსური ავტომატიზაციისათვის მუშაობის განხორციელების წესისა და ვადების შესახებ. ამ ღონისძიებებში საჭიროა გაითვალისწინონ:

მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის დარგების კომპლექსური ავტომატიზაციის პერსპექტიული დავალებანი;

ავტომატიზაციის საშუალებათა და ხელსაწყოთა წარმოების გადიდება, განსაკუთრებით საწარმოთა სპეციალიზაციის მოწყობილობის კვანძებისა და დეტალების ნორმალიზაციისა და უნიფიკაციის გზით;

საწარმოო პროცესების კომპლექსური ავტომატიზაციის დარგში სამეცნიერო-საკვლევი, საცდელ-საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციების გაფართოება და მათთვის საცდელ-საექსპერიმენტო ბაზის შექმნა;

ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის უზრუნველყოფა და ავტომატიზაციის საშუალებათა და ხელსაწყოთა შექმნის დარგში სამუშაოთა კოორდინაციის გაძლიერება.

3. საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საქმეში ელექტრონული ტექნიკის დიდ შესაძლებლობათა გათვალისწინებით დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიოელექტრონიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაწილეობით შეიმუშაონ და მოკავშირე რესპუბლიკებთან შეთანხმებით დამტკიცონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში რადიოელექტრონული ტექნიკის დანერგვის გეგმა.

4. სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებათა განხორციელების რიგითობის სწორად დადგენის, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მიმართულებებით მეცადინეობისა და მატერიალური რესურსების კონცენტრაციის მიზნით დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს, სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიას შეიმუშაონ 1959 წელს დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის ეკონომიური ეფექტიანობის გამორკვევის მეთოდიკა ცალკეული დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით.

5. რადგან წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელებისათვის საჭირო იქნება მრავალი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომლებმაც კარგად უნდა იცოდნენ თანამედროვე მოწყობილობა და კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებანი, დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს მოაწყონ ამ მიზნით მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების სპეციალური სწავლება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურმა კომიტეტმა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა განახორციელონ პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება და თვალსაჩინო სახელმძღვანელოთა გამოცემა წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა შრომითი რეზერვების მთავარმა სამმართველომ შეიტანოს საჭირო ცვლილებანი იმ სასწავლო პროგრამებში, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგში მოსწავლეთა ცოდნის მოცულობის გადიდებასთან.

6. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის სახმშენს განაზოგადონ საწარმოთა და მშენებლობათა მოწინავე გამოცდილება წარმოების მექანიზაციასა და ავტომატიზაციაში, რაც საკუთარი საშუალებებითა და ძალებით შეასრულეს, შეიმუშაონ შესაბამისი რეკომენდაციები ყველაზე ეკონომიურ და მასობრივ მიმართულებათა შესახებ ამ დარგში.

IV. სახალხო მეურნეობაში სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომი განვითარების შესახებ

შვიდწლიანი გეგმის ამოცანების წარმატებით შესრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომი განვითარება. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „იმისათვის, რომ გაიზარდოს ნაყოფიერება ადამიანის შრომისა, რომელიც მიმართულია, მაგალითად, მთელი პროდუქტის რომელიმე ნაწილაკის გაკეთებისაკენ, საჭიროა, რომ მოხდეს ამ ნაწილაკის წარმოების სპეციალიზაცია, რომ იგი იქცეს განსაკუთრებულ წარმოებად, რომელსაც საქმე ექნება მასობრივ პროდუქტთან და რომელიც ამიტომ დაუშვებს (და გამოიწვევს) მანქანების გამოყენებას და სხვ.“ (იხ., ტომი 1, გვ. 105-106).

სახალხო მეურნეობის საბჭოებმა ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ერთნაირი ტიპის პროდუქციის წარმოების კონცენტრაციისა და სუსტ, ტექნიკურად ჩამორჩენილ საწარმოებში ამ პროდუქციის გამოშვების შემცირებისათვის, აგრეთვე რაციონალური კოოპერირებული ურთიერთობის განვითარებისათვის, რამაც არსებითად შეამცირა არარაციონალური ტვირთზიდვის მოცულობა. ამაღლდა იმ სამუშაოთა ხვედრითი წონა, რომლებსაც სპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაციები ასრულებენ.

ამასთანავე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ დიდი შესაძლებლობანი, რომლებიც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შედეგად შექმნილია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარებისათვის, ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად არ არის გამოყენებული.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიები და სახალხო მეურნეობის საბჭოები სუსტად მუშაობენ წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარებისათვის. დღემდე არ არის შემუშავებული მრეწველობისა და მშენებლობის სპეციალიზაციისა და კოოპერირების პერსპექტიული გეგმა, ხოლო სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარების ღონისძიებანი, რომლებიც დასახულია მოკავშირე რესპუბლიკებსა და ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში, მეტად ნელა სრულდება. სადარგთაშორისო და სარაიონთაშორისო სპეციალიზაციის განვითარებისათვის მუშაობის კოორდინაცია ცუდად ხორციელდება, მთელ რიგ შემთხვევებში არ ითვალისწინებენ ცალკეული რაიონების განვითარების დამკვიდრებულ ისტორიულ და ეკონომიურ პირობებს. ბევრ შემთხვევაში წარმოების კოოპერირებას საფუძველად უდევს ძველი არარაციონალური ურთიერთობა საწარმოთა შორის, რაც ჩამოყალიბდა მრეწველობის მართვის წინანდელი ფორმის პირობებში და დაწესებული იყო სამინისტროთა უწყებრივი ინტერესების საფუძველზე.

ერთნაირი და ერთტიპოვანი მექანიზმების, კვანძებისა და დეტალების და განსაკუთრებით სათადარიგო ნაწილების წარმოება ჯერ კიდევ დაქსაქსულია ბევრ არასპეციალიზებულ საწარმოში. სახალხო მეურნეობას დიდი ეკონომიური ზიანი მოსდის იმის გამო, რომ სუსტად არის ცენტრალიზებული სპეციალიზებულ საწარმოებში სხმულის, ნაჭედის, შედუღებულ კონსტრუქციათა, სამაგრ ნაკეთობათა და ინსტრუმენტის წარმოება.

ზოგიერთი სახალხო მეურნეობის საბჭო სპეციალიზაციისა და კოოპერირების განხორციელების დროს მხედველობაში იღებს მხოლოდ თავისი ეკონომიური რაიონის მოთხოვნილებებს და ყოველთვის როდი ითვალისწინებს სხვა რაიონების მოთხოვნილებებს. მშენებლობაში ჯეროვნად ვერ გავრცელდა სამშენებლო ორგანიზაციების სპეციალიზაცია საერთო სამშენებლო სამუშაოების სახეობათა მიხედვით.

მრეწველობასა და მშენებლობაში სუსტად წარმოებს მუშაობა დეტალების, კვანძებისა და ნაკეთობათა უნიფიკაციისა და ნორმალიზაციისათვის, მათი ტიპური ზომების ეკონომიურად მიზანშეწონილი შემცირებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ა დ გ ე ნ ს:**

1.დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ მრეწველობასა და მშენებლობაში სპეციალიზაციის შემდგომი გაფართოება, ამასთან გამოიყენონ წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდები, უახლესი ტექნოლოგია, საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, აგრეთვე ყოველი ღონისძიებით განავითარონ რაციონალური კოოპერირებული ურთიერთობა.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს შვიდი წლისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების იმ საკონტროლო ციფრების საფუძველზე, რომლებიც დამტკიცებულია სკკპ XXI ყრილობის მიერ, შეიმუშაონ 1959 წელს მრეწველობისა და მშენებლობის სპეციალიზაციის განვითარების გეგმები. გეგმებში გაითვალისწინონ:

მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიურ რაიონებში ძირითადი სახეობის პროდუქციის, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, ენერგიისა, ტრანსპორტისა, ინვენტარისა, ტექნიკური აღჭურვილობისა, ავტომობილებისა, ტრაქტორებისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა, ტვირთამზიდი ავტომობილებისა, ავეჯისა, ტანსაცმლისა, ფეხსაცმლისა, ტექნიკური ტანსაცმლისა, ტექნიკური ბამბეულისა, ტექნიკური ბოსტნეულისა, ტექნიკური ხეხილეულისა, ბოსტნეულისა, ხეხილეულისა, ბოსტნეულ-ხეხილეულ-ტაროსანი ნაკეთობისა, ხორცისა, ძეხვეულისა, ალკოჰოლიანი სასმელებისა, ალუმინის, ბაბთის, ბამბის, ბეწვეულის, ბეჭედების, ბინის, ბოსტნეულ-ბაღჩეულ-ბოსტნეულ-ბაღჩეულ-ბოსტნეულ-ბაღჩეულ-

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების დასასრული

V. ავამაღლოთ მეცნიერების როლი ტექნიკურ პროგრესში, დავაჩქაროთ მეცნიერების მიღწევათა დანერგვა წარმოებაში

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდმივ ზრუნვას იჩენენ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირში შექმნილია ყველა საჭირო პირობა მეცნიერებისა და ტექნიკის შემოქმედებითი განვითარებისათვის. საკვლევი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების, საკონსტრუქტორო ბიუროებისა და ქარხნების ლაბორატორიების მუშაკებმა შექმნეს ბევრი ახალი მანქანა და ხელსაწყო, ტექნოლოგიური პროცესები და მასალები, რომელთა გამოყენებას სახალხო მეურნეობაში დიდი ეკონომიური ეფექტი მოაქვს. ინჟინრებისა და ტექნიკოსების მომზადების საქმეში სსრ კავშირი მნიშვნელოვნად უსწრებს კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ამასთან ერთად საკვლევ დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო მოღვაწეობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ბევრი საკვლევი ინსტიტუტი და უმაღლესი სასწავლებელი სუსტად არის დაკავშირებული წარმოებასთან. მათი მეცნიერული მუშაობა წარმოებს პრაქტიკის მოთხოვნილებათა არასაკმაო გათვალისწინებით. სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები ნაკლებად აკეთებენ დიდ მეცნიერულ სამუშაოებს სახალხო მეურნეობის საბჭოებთან, საწარმოებთან და მშენებლობებთან სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე. ზოგიერთ სამეცნიერო დაწესებულებას არა აქვს მკაფიო მეცნიერული პროფილი, არ ამუშავებს დიდ პერსპექტიულ პრობლემებს და ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ იძლევა მნიშვნელოვან პრაქტიკულ შედეგებს.

ერთ-ერთი უდიდესი ნაკლია პროფილით ერთმანეთთან ახლო მდგომი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სუსტი კოორდინაცია, რაც იწვევს შეუთანხმებლობას ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პრობლემების დამუშავებაში, ძალების გათიშვას, მეცნიერული ნაშრომების დონის დაქვეითებას, პრაქტიკაში მათი განხორციელებისა და დანერგვის ვადების გაჭიანურებას. დამაკმაყოფილებლად არ არის ორგანიზებული ინფორმაცია იმ დაწესებულებათა შორის სამეცნიერო სამუშაოების გეგმებისა და შედეგების შესახებ, რომლებიც მუშაობენ მომიჯნავე დარგებში, რაც იწვევს პარალელიზმს და სახელმწიფო სახსრების არარაციონალურ ხარჯვას. სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და განსაკუთრებით უმაღლესი სასწავლებლები მთლიანად ვერ არიან უზრუნველყოფილი თანამედროვე ხელსაწყოებითა და მოწყობილობით.

უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვაში უშვებენ შეცდომებს. მრეწველობის ზოგიერთი დარგისათვის სპეციალისტთა გამოშვება აღემატება სახალხო მეურნეობის საჭიროებას. ხოლო სხვა დარგებისათვის, განსაკუთრებით ახალ ტექნიკასთან დაკავშირებული დარგებისათვის, საკმაო არ არის.

ტექნიკის პროგრესში მეცნიერების როლის გადიდების, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი სამუშაოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვის დაჩქარების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ა დ გ ე ნ ს:**

1. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების, დარგობრივი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების, ყველა საბჭოთა მეცნიერის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს მეცნიერებისა და ტექნიკის შემოქმედებითი განვითარება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან განუყოფელ კავშირში.

საჭიროა, რომ მეცნიერებმა წარმოების მუშაკებთან თანამშრომლობით შეაღიარაღონ სახალხო მეურნეობა ახალი თეორიული გამოკვლევებით, დასკვნებით, რეკომენდაციებითა და აღმოჩენებით, რომლებიც დააჩქარებენ ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ხელს შეუწყობენ შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებას.

2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განახორციელოს შემდგომი ღონისძიებანი სამეცნიერო-საკვლევი, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციების მისაახლოებლად წარმოებასთან, სახალხო მეურნეობის საბჭოებში საჭირო პირობების შესაქმნელად მეცნიერული კვლევის ფართო ორგანიზაციისათვის, სამეცნიერო ბაზის განმტკიცებისათვის, რომელსაც დაეყრდნობიან სახალხო მეურნეობის საბჭოები თავიანთ მუშაობაში ტექნიკური პროგრესის ხაზით.

შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, დარგობრივი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, აგრეთვე მოწყობილობით, ხელსაწყოებითა და მასალებით მათი მომარაგების გაუმჯობესებისათვის.

3. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობისა და მშენებლობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს მოამზადონ 1960 წლის 1 იანვრისათვის და შეიტანონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი უშუალოდ მსხვილ საწარმოებთან სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების შექმნის შესახებ, ზოგიერთი დარგობრივი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უმაღლეს სასწავლებლებთან გაერთიანებისა და ერთი პროფილის სამეცნიერო დაწესებულებათა გამსხვილების შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სახალხო მეურნეობის საბჭოებმა განიხილონ და გადაწყვიტონ ის საკითხი, რომ საწარმოებში განმტკიცებულ იქნან არსებული და შეიქმნას ახალი საცდელ-საექსპერიმენტო ბაზები, საქარხნო ლაბორატორიები და საკონსტრუქტორო ბიუროები, აღიჭურვონ ისინი უახლესი მოწყობილობით და ხელსაწყოებით. აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას მათი დაკომპლექტება სპეციალისტთა კვალიფიციური კადრებით.

4. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობისა და მშენებლობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებს სახალხო მეურნეობის საბჭოებთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი საკვლევ და საცდელ სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და წარმოებაში მეცნიერების და ტექნიკის მიღწევათა დანერგვისათვის. ამასთან მხედველობაში იქონიონ ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის შექმნის ვადების მნიშვნელოვნად შემცირება.

5. რეკომენდებულ იქნას იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გაფართოება, რომლებიც ხორციელდება სახალხო მეურნეობის საბჭოებთან, სამრეწველო საწარმოებთან და მშენებლობებთან სამეურნეო ხელშეკრულებებით.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტთან და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს იმ სამეცნიერო სამუშაოთა დაფინანსების წესი, რომლებიც ხორციელდება სამეურნეო ხელშეკრულებებით, ამასთან გაითვალისწინოს ამ მიზნით სახალხო მეურნეობის საბჭოებისათვის, სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობებისათვის საჭირო სახსრების გამოყოფა საბიუჯეტო ასიგნობათა შემცირების გზით.

6. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად ექვსი თვის ვადაში დაახუსტონ პერსპექტიული მოთხოვნილება უმაღლესი განათლების სპეციალისტებზე ახალი ტექნიკის დარგებისათვის და შეიმუშაონ ღონისძიებანი ამ სპეციალისტთა მომზადების გაფართოებისათვის.

VI. პარტიული ორგანიზაციების ამოცანები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში

ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით განხორციელდა, საწარმოებთან და მშენებლობებთან ხელმძღვანელობის მიახლოებამ განუზომლად გააადიდა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციები უფრო კვალიფიციურად, საქმის ცოდნით სწვდებიან სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა საქმიანობას, უფრო კონკრეტულად მუშაობენ წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საკითხებზე, არსებული რეზერვების გამონახვასა და გამოყენებაზე. კიდევ უფრო ფართო გაქანება მიეცა სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდას.

ამასთან ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ პარტიის ბევრი რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტი და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები ჯერ კიდევ სუსტად აწყობენ მუშაობას კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის, მოძველებული მოწყობილობის შეცვლის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ეფექტიანად გამოყენების, წარმოების სპეციალიზაციის შესახებ სკკპ XXI ყრილობის მითითებათა შესასრულებლად. ამასთან ზოგიერთ მუშაკს ავიწყდება, რომ საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია არა მარტო ხელს უწყობს მიმდინარე სახელმწიფო დავალებათა წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, არამედ აგრეთვე მტკიცე საფუძველს ქმნის შემდეგში წარმოების მოცულობის მატების მაღალი და მყარი ტემპების მიღწევათისათვის, შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდებისათვის, სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და მშენებლობის გაიაფებისათვის. ბევრი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია ურიგდება იმას, რომ ცალკეული საწარმოები და მშენებლობანი დიდხანს ვერ ასრულებენ საწარმო გეგმებს, და არ იღებს ღონისძიებებს ჩამორჩენილ საწარმოთა წამოწევისათვის მოწინავეთა დონემდე.

მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურ კონტროლს არ უწევენ ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმების განხორციელებას, კოოპერირებულ და სხვა უმნიშვნელოვანეს სახეობათა მიწოდების შესრულებას. ამ მუშაობაში პარტიული ორგანიზაციები სუსტად ეყრდნობიან ინჟინერ-ტექნიკურ კადრებს, წარმოების მოწინავეებს.

პარტიული ორგანიზაციები ხშირად შემწყნარებლურად ეკიდებიან იმას, რომ ცალკეულ საწარმოებსა და მშენებლობებს ხელმძღვანელობენ ცუდი ორგანიზატორები, ცხოვრებას ჩამორჩენილი ადამიანები, რომლებიც არ იცნობენ და არ სწავლობენ თანამედროვე ტექნიკასა და წარმოების ეკონომიკას. არის ფაქტები, რომ ჯეროვნად ვერ აფასებენ ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ წარმოების ტექნიკური სრულყოფა.

პარტიის საოლქო, სამხარეო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ სწვდებიან სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და საგეგმო ორგანოების მუშაობის პრაქტიკას, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მათი როლის გაძლიერებას მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე ტექნიკური პროგრესის განხორციელებისათვის, სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. დაევალოს პარტიის საოლქო, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მთავარი ყურადღება მიაქციონ სკკპ XXI ყრილობის მიერ ტექნიკური პროგრესის დარგში დასახული ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებას, როგორც შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების გადამწყვეტ პირობას. კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საყოველთაო-სახალხო საქმეა და დიდ ორგანიზატორულ მუშაობას მოითხოვს ყველა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

საჭიროა ღრმად განვიმარტოთ მშრომელებს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტექნიკურ პროგრესს კომუნისტურ მშენებლობაში, გავშალოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პროპაგანდა, ამისათვის ფართოდ გამოვიყენოთ პრესა, კინო, რადიო და ტელევიზია. მეცნიერულ-ტექნიკური პროპაგანდა უნდა ეხმარებოდეს თვითეულ მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს აიმაღლოს თავისი ცოდნა და საქმიანი კვალიფიკაცია, ხელს უნდა უწყობდეს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან საკუთარ თავში ჩაუდგნენ ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლას, კონკრეტულად და მიზანსწრაფულად მუშაობდნენ საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხებზე, მხარს უჭერდნენ და ბეჯითად ნერგავდნენ წარმოებაში ყოველივე პროგრესულსა და მოწინავეს, გადაჭრით იბრძოდნენ უძრაობის გამოვლინებათა წინააღმდეგ, ახალი ტექნიკისა და ნოვატორთა გამოცდილების უგულებელყოფის წინააღმდეგ. ახლის კრძნობა, მუდმივი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, წარმოების კულტურის ამაღლებისათვის ყოველი კომუნისტის განუყოფელი თვისება უნდა იყოს.

2. წინადადება მიეცეს პარტიის საოლქო, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს გააუმჯობესონ პარტიული ხელმძღვანელობა ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და ადგილობრივი საგეგმო ორგანოებისადმი, უფრო ღრმად ჩასწვდნენ მათს საქმიანობას, ბოლო მოუღონ ბიუროკრატიულ დაჩხახნჯებათა და მიხდობილი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტებს, მიაღწიონ იმას, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოების აპარატის საქმიანობაში მთავარი იყოს ორგანიზატორული მუშაობა უშუალოდ საწარმოებში და მშენებლობებზე.

3. საჭიროა მუდამ სრულყოფდეთ საძეურნეო ორგანიზაციების საქმიანობისადმი პარტიული და სახელმწიფო კონტროლის ფორმებსა და მეთოდებს, რადგან ახლანდელ პირობებში კონტროლისა და შესრულების შემოწმების საკითხებს პირველხარისხოვანი მხიძნელობა ენიჭება და ყველა პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

პლენუმი იწონებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განახორციელა პარტიული და სახელმწიფო აპარატის როლის ასამაღლებლად როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე იმისათვის, რომ გაძლიერდეს კონტროლი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი სახელმწიფო, პარტიული, საძეურნეო და სხვა ორგანიზაციებს ყველა რგოლში, აგრეთვე იმის ღონისძიებებს, რომ გაუმჯობესდეს საწარმოო და სავაჭრო საწარმოების პირველადი პარტიული ორგანიზაციების კონტროლი ადმინისტრაციის საქმიანობისადმი.

ადგილობრივი პარტიული ორგანოები პარტიისა და მთავრობის დირექტივების განსახორციელებლად თავიანთ ორგანიზატორულ საქმიანობაში უწინარეს ყოვლისა უნდა ეყრდნობოდნენ მშრომელთა ფართო მასებს, ყოველი ღონისძიებით ავიდარებდნენ ხალხის უჭირდნენ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების შემოქმედებითს ინიციატივას საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში. ამასთან უნდა ახსოვდეთ, რომ ქვემოდან კონტროლი ყველაზე ეფექტიანად უწყობს ხელს მუშაობის ნაკლოვანებათა გამოვლინებას და დროზე აღმოფხვრას.

4. სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ პროფესიულმა კავშირებმა. მათი პირველი რიგის ამოცანაა დარაზმონ მშრომელები იმისათვის საბრძოლველად, რომ წარმოებაში დაინერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, პროგრესული ტექნოლოგია და მოწინავე საწარმოო გამოცდილება. უახლესი ტექნიკის დაუფლება და ამ ტექნიკის შექმნაში აქტიური მონაწილეობა, წარმოების ტექნოლოგიისა და შრომის ნაყოფიერების ყოველდღიური სრულყოფა, მშრომელთა ოსტატობისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება უნდა აისახოს პროფკავშირების მუშაობაში სოციალისტური შეჯიბრების მოსაწყობად. პროფკავშირული ორგანიზაციები, კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოძრაობას რომ ავითარებენ, მოვალენი არიან მასების ეს ძვირფასი თაოსნობა წარმართონ ტექნიკური პროგრესის კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონისძიებით უნდა დაუჭირონ მხარი რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მასობრივ მოძრაობას, შეურიგებლად იბრძოლონ რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა განხილვისა და დანერგვის დროს საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოება, მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოებანი მოვალენი არიან განაზოგადოს და გაავრცელონ ძოწინავე გამოცდილება, განავითარონ მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თაოსნობა.

5. კომკავშირული ორგანიზაციები, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა ძოწოდებული არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში. ათეცანები, რომლებსაც პარტია სახავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური სრულყოფისა და ხელახლა აღჭურვის დარგში, ფართო გზას უხსნის ახალგაზრდა თაობის შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების ზრდას. კომკავშირის გადაუდებელი საქმეა მოაწყოს ახალგაზრდობის მასობრივი ძიძრაობა უახლესი ტექნიკის დაუფლებისა და მისი ძალახაყოფიერად გამოყენებისათვის, ახალგაზრდა მუშების, ტექნიკოსებისა და ინჟინრების ტექნიკური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

6. ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ თანაბაიდოოვე პირობებში, ოოცა პარტიამ მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა ტექნიკური პროგოესის გახხორციელების ამოცანა, კადრეთახ მუშაობის გაუძჯობესებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. პარტიული ორგანიზაციები ძოვალენი არიან მიაღწიონ იმას, რომ სამეურნეო ამეცნებლობის ყველა უბნის სათავეში იდგნენ ძოთხადებული ძუშაკები, რომლებსაც კარგად ეცოდინებათ ტექნიკა და ეკონომიკა, ექნებათ ძაღალი ორგანიზატოოული თვისებები და შეეძლებათ უზრუნველყონ ტექნიკური პოოგრესი სახალხო ძეურნეობაში. საჭიროა გავაძლეიროთ ძოეწველობისა და მშენებლობის ძეთაურთა კადრების პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, ოღვზაოდოთ ისინი სახელმწიფო დისციპლინის ძტკიცედ დაცვის, ძაღალი მომთხოვნელობის, ნაკლოვანებებისადმი ძეურიგეალობის სულისკვეთებით. ის ხელძღვანელები, რომლეიც ალარ იხრდებიან, არ იჩენენ ზრუნვას ტექნიკური პროგოესისათვის, ცოცხალ. ორგანიზატორულ მუშაობას ცვლიან ზოგადი ძოწოდებებით, აუცილებლად უნდა შეიცვალონ. საჭიროა უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ახალგაზრდა სპეციალისტები, ამასთან ვიხელძღვანელოთ ლენინის მითითებით ძველი და ახალგაზრდა კადრების ეიხამბის შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს უძოკლეს ვადაში განამტკიცონ სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილი უბნები კარგი ორგანიზატორებისა და სპეციალისტების გამოცდილი კადრებით, რომლებსაც უნარი შესწევთ აამოქმედონ ჩვენი მრეწველობის დიდი რეზერვები.

ტექნიკური პროგრესის იმ გეგეების განსახორციელებლად, რომლებიც პარტიამ დასახა, საჭიროა უფრო ავამაღლოთ მუშების, განსაკუთრებით ახალგაზრდა მუშების, ტექნიკური სწავლების დონე. რთული მანქანებითა და მექანიზმებით თანამედროვე წარმოების უხვად აღჭურვა თვითეული მუშაკისაგან მოითხოვს მრავალმხრივ ზოგად და სპეციალურ ცოდნას. ამიტომ ახლანდელ პირობებში მუშათა საწარმოო სწავლება არ შეიძლება შეიზღუდოს ტექმინიმუმის პროგრამით. იგი უნდა ეეიცავდეს საინჟინრო-ტექნიკური მომზადების ელემენტებს.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ გმირი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, კიდევ ძეტი ენერგიითა და ენთუზიაზმით იბრძოლებენ შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ნოვატორთა მოწინავე გამოცდილება უმოკლეს ვადაში ფართო მასების კუთვნილება გახდეს. მაღალი შრომითი აქტივობა, დაუშრეტელი ინიციატივა და შეგნებულობა საბჭოთა ხალხისა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, შვიდწლიანი გეგმის — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის გეგმის წარმატებით შესრულების საიმედო საწინდარია.

სახალხო მოხმარების ზოგიერთი საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირების შესახებ

მთავრობის გადაწყვეტილებით 1959 წლის 1 ივლისიდან შემცირებულია სახელმწიფო საცალო ფასები საშუალოდ: საათებისა 16 პროცენტით, ველოსიპედებისა 21 პროცენტით, ზოგიერთი მარკის რადიოლისა 16 პროცენტით, ზოგიერთი მარკის ფოტოაპარატისა 19 პროცენტით, ქალის კაპრონის წინდისა 20 პროცენტით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადაწყვეტილებით 1959 წლის 1 ივლისიდან შემცირებულია სახელმწიფო საცალო ფასები საშუალოდ: ყურძნის ღვინისა 19 პროცენტით და ხილ-კენკრის ღვინისა — 20 პროცენტით.

ამავე დროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო საბჭოების აღმასკომებმა შეამცირეს ბავშვის სათამაშოების საცალო ფასები.

მოსახლეობის სარგებლობა სახელმწიფო საცალო ფასების ამ შემცირებით წელიწადზე გაანგარიშებით ექვს მილიარდ მანეთზე მეტს შეადგენს.

გამოფენა პირდაპირ ფანტასტიკურია

ნიუ-იორკში გაიხსნა გამოფენა საბჭოთა კავშირის მიღწევებისა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკუთარი კორ.). გუშინ ნიუ-იორკში უდიდეს საგამოფენო შენობაში — „კოლიზეუმში" — ხაზეიმო ვითარებაში გაიხსნა გრანდიოზული გამოფენა საბჭოთა კავშირის მიღწევებისა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში.

საღამოს 6 საათისათვის ვრცელი დარბაზი „კოლიზეუმის" პირველ სართულზე გაავსო სტუმრებით, რომლებიც მოწვეული იყვნენ გამოფენის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე. მოვიდა 1.200-ზე მეტი კაცი. მათ შორის იყვნენ ამერიკელი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, სამრეწველო და საფინანსო წრეების წარმომადგენლნი, მეცნიერები, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების წარმომადგენლნი, სპეციალურ ამალლებულ ადგილზე — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი რ. ნიქსონი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ხ. ნასრედინოვა, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვი, ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ლოჯი, საბჭოთა გამოფენის დირექტორი ა. ნ. მანეულო, ქალაქ ნიუ-იორკის მერი რ. ვაგნერი, საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი ა. ნ. ტუპოლევი, ცნობილი ამერიკელი მრეწველნი და საზოგადო მოღვაწეები საირუს იტონი და რობერტ დაულინგი.

ზეიმურად ეფერენ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების სახელმწიფო მიმნები. სსრ კავშირის ელჩი მ. ა. მენშიკოვი სიტყვას აძლევს ნიუ-იორკის მერს რ. ვაგნერს. უწოდა ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა მაღალი შეფასება მისცეს მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში საბჭოთა კავშირის მიღწევების გამოფენას.

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა განაცხადა, რომ გამოფენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე; განსაკუთრებით მიეწონა მას განყოფილებანი, რომლებიც უჩვენებენ საბჭოთა მედიცინისა და სპორტის, კერძოდ, მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთ რაიონის განაშენიანება.

ცნობილმა ამერიკელმა მრეწველმა და ფინანსისტმა საირუს იტონმა გამოფენას უწოდა საბჭოთა კონსტრუქტორებისა და მხატვრების ტრიუმფი. მე აღფრთოვანებული ვარ. განაცხადა მან. გამოფენა უჩვენებს იმას, რასაც მე მუდამ ვეუბნებოდი ჩემს ამერიკელ მეგობრებს. ჯერ არავის უჯობნია საბჭოთა მეცნიერებისათვის ნიცხა და ოსტატობაში; და ისინი უდიდეს წვლილს შეიტანენ არა მარტო თქვენი ქვეყნის, არამედ აგრეთვე მთელი კაცობრიობის პროგრესის საქმეში.

ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილმა პოლიტიკოსმა მოლვაწემ ჰაროლდ სტასენმა, თავის მხრივ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოფენის გახსნა შესანიშნავი მოვლენაა... მე ვულოცავ საბჭოთა ხალხს ასეთ გამოფენას, თქვა მან.

გამოფენა პირდაპირ ფანტასტიკურია, განაცხადა კომპანია „პემსი-კოლას" პრეზიდენტმა ედნოლმა. კენნედი ალტაცებაში მოიყვანა გამოფენაზე ექსპონირებულმა ხასოფლო-სამეურნეო მანქანებმა.

ამ აზრს იზიარებს ბევრი ამერიკელი ჟურნალისტი. საბჭოთა გამოფენა, თქვა ასოშიეიტედ პრესის საგაზეთოს კორესპონდენტმა ა. ეიერტმა, — ეს არის „სილამაზის, გემოვნების, მტკიცე რწმენისა და სიამაყის" გამოფენა.

რედაქტორი
დ. მჟელდიშვილი.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-80, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

ᲣᲐ 02396 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.